

№ 60
(11 517)

3 - 6 აგვისტო, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან


**პერსონის მედალი - 80 დოლარად.
როგორც სადავო გამხდარა**

სან-რემოში 14 წლისა და უმცროსი ასაკის ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატი 1996 წლიდან გამოდებით იტალიის ამ ქალაქში ტარდება, საერთოდ კი, ჩემპიონატმა ათვლა 1976 წლიდან დაიწყო. წლებულს ევროპის 40 ქვეყნის მონაწილეთა შორის საქართველოდან ორი გოგონა - თინა ყავლაშვილი და თათია მიქაძე, ორიც ჭაბუკი - ნოდარ ითონიშვილი და ნუგზარ ნავროზაშვილი ასპარეზობდნენ.

ბიჭები ადრე გამოეთიშნენ ჩემპიონატს და შინ დაბრუნდნენ. თვითმფრინავის ბილეთები მათთვისაც და გოგონებისთვისაც ერთთვისად იყო აღებული, მაგრამ მოხდა სასწაული და ჩვენს გოგონებს მედლის მოპოვების შანსი გაუჩნდათ.

„დავბრუნდეთ თუ დავრჩეთ და ჩამოვრჩეთ თვითმფრინავს?“ რეკავდნენ თბილისში იტალიიდან. აქაც დიდი მიდი-მოდი შეიქნა და იცით, რისთვის? 80 დოლარისთვის, ანუ იმ თანხისთვის, რომელიც ბილეთების ჩაბარებით იკარგებოდა.

„დარჩითო“, ამცნეს თბილისიდან და გოგონებმა განაცხადეს ასპარეზობა. ერთეულთა თანრიგში თინა ყავლაშვილმა, რომელიც ლეილა მესხის საჩოგბურთო სკოლის აღსაზრდელია (მწვრთნელი მარინა მალაციძე), III-IV ადგილი გაიყო, წყვილთა თანრიგში თინა მიქაძესთან ერთად კი, ვერცხლის მედალი მოიპოვა. მიქაძე თბილისის მერიის სპორტის, სკოლის-გარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურთან არსებული ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის მოსწავლეა (დირექტორი გურამ თოხაძე) და ეკა თოხაძე ავარჯიშებს. სამიწვინებო ხარჯებიც ზემოსწინებულმა ორგანიზაციებმა გაიღეს, მაგრამ ახლა გასარკვევია, ვინ გადაიხდის იმ დამატებით 80 დოლარს, რომელიც, როგორც შევითვქვით, სადავო გამხდარა. დავეძნოთ, რომ ჩვენმა წყვილმა რუსეთის ძლიერი დუეტი დაამარცხა ნახევარფინალში, ფინალში კი ჩემპიონატის საუკეთესო წყვილთან, სლოვაკელ თანატოლებთან დამარცხდა.



თინა ყავლაშვილი



თათია მიქაძე

იტალიის ნაკრების ფორვარდმა დელ პიერომ გუშინ განაცხადა, რომ აღარ სურს ითამაშოს „იუვენტუსში“ ზიდანის პოზიციაზე. „მე შემოდლა გუნდის ინტერესებს რაღაც შევწირო, მაგრამ შეუძლებელია შევასრულო ზიდანის როლი მთელ სეზონში“ - განაცხადა დელ პიერომ.

სანსაბიური სიასლა თურქულ ფეხბურთში
თურქეთის ფეხბურთში, ახალი წესებით, ეროვნულ ჩემპიონატში გულშემატკივართა უწესრიგობისათვის გუნდს ჩაეთვლება დამარცხება, ხოლო განსაკუთრებული თავხედობისათვის გუნდი შეიძლება რამდენიმე მატჩითაც იქნეს დისკვალიფიცირებული.

ცნობილი ქართველი პროფესორი ანგოზს, რომ საქართველოში ნაკომიანას ქალაქებს პლარ ეპრქვიან. მის გარდა, სამთავროვო კომისიაში, რომლის წევრის ის არის, პროგრამა პრაპოს ნაკრუბენია.



**გაზეთის
დაგეგმვის
წინ:**




ორი პოლონელი უკან გაიხიზნა

ორი პოლონელი მძღველსანი, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩავიდნენ კანადის ქალაქ ედმონტონში, გუშინ უკანვე გააბრუნეს სისხლში დოპინგის შემცველი ნივთიერებების აღმოჩენის გამო. ეს სპორტსმენები არიან სპრინტერი მატინ კრივანსკი და შუბის მტყორცნელი რაიმუნდ კოლკო. კრივანსკი ქვეყნის ჩემპიონია 100 მეტრზე რბენაში. კოლკომ კი, ამას წინათ, პოლონეთის რეკორდი დაამყარა შუბის ტყორცნაში - 84,95 მ. სულ მსოფლიო ჩემპიონატზე პოლონეთმა 38 ათლეტი მიავლინა. ჩემპიონატი დღეს, 3 აგვისტოს, იწყება.



რაიან გიგზი მედალზე მადურებელს



მანჩესტერ იუნაიტედი - სალგიკი



ინტერტოტო თასი


ინტერტოტო თასი (ინგლისი) -
მიუნხენი 1860 (გერმანია)

მსოფლიო 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისათვის ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფილიპე სკოლარიმ დაასახელა პარაგვაის ნაკრებთან სათამაშოდ ქვეყნის ნაკრების შემადგენლობა.

უზბეკეთი • პრინციპალი ნაკრებები

ფინეთი:
ჯაზი - აშლანისი 1-1
იოკაჰიმი - ინგრი 1-0
ჯამპეა - პაასა 2-1

სლოვა იუგო მაგნატი - სტიაუა



ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მშვილდოსნობა ავროპის «გრან-პრი»

როცა იარაღი საიველო ხელშია

ქ. სანკტ-პეტერბურგში დამთავრდა მშვილდოსნობაში ევროპის «გრან პრის» ფინალური გათამაშება, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ქალთა ეროვნული ნაკრები: ხათუნა ფუტყარაძე, ასმათ დიასამიძე და ოლგა ლადიგინა (მწვრთნელი თამაზ ფუტყარაძე).

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ყველა სპორტსმენი აჭარის მკვიდრია და სწორედ აჭარამ სრულად დააფინანსა მათი მონაწილეობა ამ წარმომადგენლობით შეჯიბრებაზე. ქალთა შორის მსოფლიოს 73 უძლიერესი მშვილდოსანი მონაწილეობდა 26 ქვეყნიდან. აქ გუნდური პირველობა სამხრეთ კორეის უძლიერესმა კოლექტივმა მოიგო. მეორე ადგილზეა უკრაინის ნაკრები, მესამეზე - იტალიის წარმომადგენლები. რაც შეეხება საქართველოს წარმომადგენლებს, მათ მოიპოვეს მეხუთე ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენებმა გადაუსწრეს მშვილდოსნობის ისეთ ადვილად რეგულაციებს, როგორცაა თურქეთი, ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, გერმანია და კიდევ სხვა 16 ქვეყანა.

პირად პირველობაში ადგილები ასე განაწილდა. 1. სონ ჯი პაი (სამხრეთ კორეა), 2. პარკ სუნ ჰუნი (სამხრეთ კორეა), 3. სეი ვე (ჩინეთი), 4. ანა კარასიოვა (ბელარუსია), 5. ხათუნა ფუტყარაძე.

ურთიერთ არც დიასამიძეს და ლადიგინას უასპარეზიათ. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა გუნდმა და ცალკეულმა სპორტსმენმა საქართველოს რამდენიმე ახალი რეკორდი დამყარა როგორც გუნდურ, ის პირად ასპარეზობაში. მ-1 გუნდურ ვარჯიშში ჩვენებმა 3.869 ქულა მოაგროვეს: ხათუნა



SALT LAKE 2002

ნათუნა ფუტყარაძე



ფუტყარაძე - 1.327 (ეს შედეგი 23 ქულით აღემატება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს). ასმათ დიასამიძე - 1.275; ოლგა ლადიგინა - 1.267.

ქართველ ქალთა სამეულის შედეგები სავეებით საკმარისი იქნებოდა ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოსაპოვებლად, მაგრამ სალიცენზიო შეჯიბრებებამდე ჯერ ადრეა. დაეძენთ, რომ ხათუნა ფუტყარაძემ 30 მეტრზე - 355 ქულა მოაგროვა, 70 მეტრზე (1/8 ფინალი) - 165.


რუზან გაცოგაშვილი

სპორტს უზუკლია ნარკომანების გადასარჩენად

ჩვენი პრობლემათა წაკვი ისე აეწყო, რომ ერთი პრობლემა გვაიძულებს მეორე მივიწვიოთ. ერთ-ერთ ასეთ გარკვეულად მივიწვიებულ პრობლემად მიმანია ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ, რაც ჯერ კიდევ არაეფექტურად ტარდება საქართველოში. მართალია, შექმნილია ნარკომანიისა და ნარკობიზნის წინააღმდეგ ბრძოლის სამთავრობო კომისიები, მაგრამ რეალურად ამ კომისიების მიერ რაიმე საგულისხმო დღემდე არ გაკეთებულა, განსაკუთრებით ნარკომანების ეფექტური რეაბილიტაციის თვალსაზრისით. პირადად მე ვითვლები ერთ-ერთ ამ კომისიის წევრად, მაგრამ გასატარებელ ღონისძიებებთანუსაში, გარდა ჩემს მიერ წარმოდგენილი პროგრამისა, ნარკომანთა ფიზიკური რეაბილიტაციის თაობაზე, დღემდე სხვა ღონისძიებებთან პროგრამები არ მინახავს.

ნუ ვფიქრობთ ჩემს კოლეგებს, ვისაც ეხება და ვვალდა ნარკომანთა გამოჯანმრთელების პრობლემაზე მუშაობა, თუ ვეტყვი, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა ფიზიკური დატვირთვის (ფიზიკური ვარჯიში, კუნთური მუშაობის) ფართო გაშტაბით გამოყენების გარეშე, არასოდეს მოხდება. მიუხედავად იმისა, რომ სადღესოდ ბევრი რამ არის გაკეთებული ნარკომანთა მკურნალობის (მედიკამენტებით, ტრანსფუზიით, ფსიქოთერაპიითა და სხვ.) საქმეში, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური დატვირთვის გარეშე საჭირო ეფექტის და, რაც მთავარია, შედეგის მიღწევა მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ ხდება.

სამწუხაროდ, საქართველოს მედიკოსების დიდ უმრავლესობას ახსიათებთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაკლი თავიანთ მუშაობაში. ისინი შედარებით ნაკლებად (ან სულაც არ) იყენებენ თავიანთ სამკურნალო და პროფილაქტიკურ მუშაობაში მკურნალობის მოძრაობით - კინეზოთერაპიას (სამკურნალო ფიზიკულტურის მეთოდს), რაც უარყოფითად



ახსიათებს მათ მიერ ჩატარებულ მუშაობას. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი ფსიქიატრების მიმართაც. ნარკომანების ფიზიკური რეაბილიტაცია უფრო ხშირად გულისხმობს ვარჯიშის დროს ხშირად დიდი ინტენსივობისა და მოცულობის კუნთური მუშაობის შესრულებას, რაც რასაკვირველია, უნდა შეეხებოდეს ავადმყოფის ორგანიზმის ფიზიკურ მდგომარეობას, ხოლო ფიზიკური ვარჯიშის პროცედურები ყოველთვის სათანადო სექციო კონტროლის პირობებში უნდა იყოს ჩატარებული. დიდი ფიზიკური დატვირთვის გამოყენება იმითაა განპირობებული, რომ ამ დროს ორგანიზმში ხდება ისეთი ნივთიერების გამოყოფა, როგორცაა ენდომორფინი, რომელიც ავადმყოფს უქმნის ე.წ. ბუნებრივ „კაიფის“ მდგომარეობას, რაც უკვე ფიზიოლოგიურად მოქმედებს და რასაც შეუძლია თანდათანობით შეუმციროს ავადმყოფს მოთხოვნილება ნარკოტიკული ნივთიერებების მიღების მიმართ.

რასაკვირველია, ყოველივე აღნიშნულის მიღწევა ასე ადვილად არ ხდება. ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი და მონდომებული მუშაობა, როგორც პაციენტის, ისე რეაბილიტოლოგების მხრივ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნარკომანთა რეაბილიტაციაში და მით უმეტეს მათი ფიზიკური ვარჯიშის მეთოდით მკურნალობის საქმეში, მთავარი და გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვით ავადმყოფის მონდომებას. ამას კი ესაქტიროება დიდი აგიტაცია და პროპაგანდა, რაც ჩვენში სათანადოდ არ ტარდება.

სპორტის გამოყენება ნარკომანთა რეაბილიტაციაში ახალ ღონისძიებად არ ითვლება. ამ მიზნით ვერობასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სპორტი სულ უფრო ფართოდ გამოიყენება. ირკვევა, რომ ამ დაავადებით ახალგაზრდები, მათთან სათანადო მუშაობის ჩატარების შემდეგ,

სულ უფრო აქტიურად იწყებენ სპორტით დაინტერესებას, რაც ხშირად ფანტასტიკურ შედეგსაც იძლევა. ამიტომ არის, რომ უცხოეთში ამ საქმეში სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების მონაწილეობა სულ უფრო ღრმავდება.

ამას წინათ, ე.წ. „თეთრი შუკრი“ წყვილთა რუსეთის გაზეთ „კომერსანტი“ (24.07.2001 წ.) ერთი ინფორმაცია, რომლიდანაც შევიტყვე რუსეთში სახელმწიფოს მიერ იწყება ფართო მასშტაბით ნარკომანების სპორტში ვარჯიშის მიზნით ჩაბმა. პირადად მე ამის შესახებ მრავალჯერ გამოვსულვარ მასმედით, მაგრამ ამაოდ. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენში არაფერს უთმობს ყურადღებას ფიზიკური ვარჯიშით ნარკომანთა აღდგენით მკურნალობას (რეაბილიტაციას).

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ფიზიკური დატვირთვა სპორტი ეს ის აუცილებელი ღონისძიებაა, რომლის გარეშეც არ უნდა ტარდებოდეს ნარკომანთა კომპლექსური მკურნალობა. ფიზიკური ვარჯიში მინიმალური უნდა იყოს არა როგორც დამხმარე, არამედ, როგორც ერთ-ერთი მთავარი აღდგენითი მკურნალობის საშუალება. უნდა გვახსოვდეს, რომ ნარკომანთა რეაბილიტაციის დროს უნდა ვიზრუნოთ არა მარტო იმაზე, რომ ავადმყოფმა თავი დაანებოს ნარკოტიკების მიღებას, არამედ ჩვენი მეორე ამოცანაა გავუზომოთ ასეთ პირებს ორგანიზმის ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობა, ამის მიღწევა კი სპორტის გარეშე ვერ მოხერხდება.

ვიყოთ საზოგადოებასთან გულახდილები. თუ ნარკომანი ფიზიკურად არ გააქტიურდა და თავის მოძრაობის რეჟიმში ყურადღება არ დაუთმო სრულ დადებითადმდე კუნთური დატვირთვის გამოყენებას, მისი საბოლოო განკურნება ძირითადად არ მოხდება.

როზანოზ სვანიშვილი, პროფესორი

ერედვენი - სპორტულ ზეივზე

როგორც პაპარა ლიანისხეველს ყოფილან მოქილანვე აკაკი ბორცხაძე არქე



სოფელი ერედვი - პატარა ლიანის ხეობის თავი სოფელია. კარგა ხანია აქ საჭიდაო პანგი ადარ აჭყვეტინებულა. და აი, გამოჩნდა ამ სოფლის მკვიდრი, ყოფილი თავისუფალი სტილის მოჭიდავე აკაკი ბორცვაძე, რომელმაც საკუთარი დანაზოგიდან საჭიდაოს დამკვრელებს დიდი და ზურნა შეუძინა, საუკეთესო საჩუქრებიც მოამზადა გამარჯვებულ სპორტსმენებისათვის და ერედვის ცენტრში ქართული ჭიდაობის გარდა, მივიწყებული საჯილდაო ლოდის აწევაც გაახსენა ხალხს. თან აფიშებიც დააბეჭდვინა. სოფელ-სოფელ მოიარა და ამცნო სხვადასხვა კუთხის ახალგაზრდებს, რომ ერედვიში სპორტული ზეიმი ეწყობოდა. ჭიდაობის გარდა პროგრამაში მკლავჭიდიც შეიტანეს. დამზადებინა მკლავჭიდის მაგიდა. მოკლედ, ღამაზი სპორტული დღესასწაული გამოვიდა...

ავი), გიორგი გიორგიშვილმა (მერეთი), ჯაბა ტატიშვილმა (ტყევიანი), ლაშა ბერუაშვილმა (ერედვი), დავით მორბედაძემ (ახალგორი), იური ომაძემ, მამუკა სახვაძემ (ორივე - ფხვენი-სი), ლევან მარკოზაშვილმა (დიცი), ქართლოს მარკოზაშვილმა, ლევან ჩოხელმა (ორივე - ტყევიანი), მირიან პავლიაშვილმა (ძაღლისი).

მკლავჭიდიელთა აბსოლუტურ პირველობაში პირველი ადგილი მოიპოვა გოგა ბერიძემ (კეხვი). საჯილდაო ლოდი კი ყველაზე მაღლა ასწია ცხინვალელმა ელბრუს კაბულაშვილმა.

მთავარი პრიზი - ვერძი გათამაშდა ქართული ჭიდაობის ფაღვანობაზე, სადაც ყველა მეტოქე დაამარცხა ძაღლისეღმა (მცხეთა) მოჭიდავემ მირიან პავლიაშვილმა (მწვრთნელი ზაურ პავლიაშვილი).

ერედვიში გამართულ ამ სპორტულ ზეიმს წინ უსწრებდა აკაკი ბორცვაძის თაოსნობით მოწყობილი ფეხბურთელთა ტურნირი „ერთა მეგობრობის თასზე“ და ქართული ჭიდაობა სკოლებს შორის შიდა ქართლის გუბერნატორის პრიზზე.

პატარა ლიანის ხეობის სოფლებში სპორტული ცხოვრება დიდი ხნის იძულებითი შესვენების შემდეგ, კვლავ სასურველ ელფერს იბრუნებს. აკაკი ბორცვაძის მსგავსი ენთუზიატები სჭირდება სოფლის სპორტს!

ბაბრი ბაბოძე

მონინავთა
პოლონიტ
II ტურის #06

ეროვნული ჩემპონატის მეორე ტურმა, რომელიც ორ დღეზეა გათვლილი, სახვებით შესაძლებელია ლიდერთა რაოდენობა შეამციროს. პირველ ტურში გამარჯვებულმა მწველი მატჩები ელით. ოთხი მათგანი ერთმანეთს დაუპირისპირდება, ერთი კი გასვლით შეხვედრას გამართავს. თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ კვლავ შინ ითამაშებენ, თანაც უშუალო კონკურენტებთან. ჩემპიონს ლიდი ძალისხმევა დასჭირდება ენერჯია მოქარბებელი „კოლხეთის“ შესაჩერებლად. დინამოელები კი ვეტერინართა ბოლო წამს წამკცველ რუსთავის „გორდას“ მიიღებენ. თავად „ვიტ ჯორჯია“ არანაკლებ სერიოზულ მეტოქეს, ბათუმის „დინამოს“ უმასპინძლებს მცხეთაში. ეს სამი მატჩი უდავოდ ტურის ცენტრალურ შეხვედრებად შეიძლება მივიჩნიოთ. უინტერესო არც სხვა მატჩებია. ლიგის დებიუტანტები „სამგურალი“ და „გურია“ პირველ ლიგაში დაწყებულ დავას წყალტუბოში



საქართველოს
XII ეროვნული
ჩემპიონატი
უზენაესში

გააგრძელებენ. „ლოკომოტივი“ — „მეტალურგის“ პეკრობაში ერთ-ერთი, ალბათ, ახალ სეზონში პირველი გამარჯვებით გაიხარებს. გურიიდან ერთი ქულით შინ დაბრუნებული „მერანი“ ბონისელებს გაუწევს მასპინძლობას. საკუთარი მეობის დასამტკიცებლად ყველა კლუბი, ალბათ, შესაძლებლობათა მაქსიმუმს გალებს შეეცდება. ვის როგორ გამოუვა ეს, შეხვედრათა მსვლელობა გვაჩვენებს. გულშემოტყვიერები მოწინავეთა ვინაობის დადგენას აჭედანვე შეუდგებიან, მაგრამ ამის გაცემა ჯერ არც ისე ადვილია. ჩემპიონატი ხომ ახლა დაიწყო. ხანგრძლივი მართონის განმავლობაში კი ბევრი რამ შეიცვლება. გამოკვეთილი ლიდერიც გვეყოლება და უპირობო აუტსაიდერიც.

საბა ლომინაძე

მსაჯავი. ინსპექტორები

4 აპრილი

ლოკომოტივი — მეტალურგი. მთავარი მსაჯი ა. მეშვიკი, ასისტენტები — ელიკაშვილი, მენთეშაშვილი, მეოთხე მსაჯი კიკაჩიშვილი, ინსპექტორი — ი. მუხლიშვილი (19.30)

დინამო (თბ) — გორდა. მთავარი მსაჯი ს. კვარაცხელია, ასისტენტები — სამხარაძე, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი კრიკაშვილი, ინსპექტორი ბ. ქარჭაშაძე (20.00)

სამგურალი — გურია. მთავარი მსაჯი ა. ორდინიძე, ასისტენტები — რუსიშვილი, ლ. სილაგავა, მეოთხე მსაჯი ა. შალამბერიძე, ინსპექტორი მ. კობიაშვილი.

ბათამაშავის ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კოლხეთი-1913	1	0	0	6-0	3	
დინამო (თბ)	1	1	0	0	3-1	3
ტორპედო	1	1	0	0	2-0	3
დინამო (თბ)	1	1	0	0	2-0	3
გორდა	1	1	0	0	3-2	3
მერანი-91	1	0	1	0	1-1	1
გურია	1	0	1	0	1-1	1
ვიტ ჯორჯია	1	0	0	1	2-3	0
მეტალურგი	1	0	0	1	1-3	0
ლოკომოტი.	1	0	0	1	0-2	0
სიონი	1	0	0	1	0-2	0
სამგურალი	1	0	0	1	0-6	0

5 აპრილი

ტორპედო — კოლხეთი 1913. მთავარი მსაჯი ზ. ანაშვილი, ასისტენტები ჯვარიძე, ურუშაძე, მეოთხე მსაჯი მაისურაძე, ინსპექტორი ზ. პეტრიაშვილი (საფარულად 21.00)

მერანი — სიონი. მთავარი მსაჯი მ. მალაღურაძე, ასისტენტები მიქელაძე, ბრეგვაძე, მეოთხე მსაჯი ბუიშვილი, ინსპექტორი მ. ლაცაბიძე.

ვიტ ჯორჯია — დინამო (თბ). მთავარი მსაჯი კ. მესხი, ასისტენტები ცირცია, ჩიგოჯიძე, მეოთხე მსაჯი სანაია, ინსპექტორი რ. ჩილაშავა.

შენიშვნა: ფრანგულში მიითითებოდა მატჩების დაწყების დრო: სხვა მატჩები დაიწება 18.30 საათზე.



ეროვნული ნაკრების საშუალო

საქართველოს ეროვნულ გუნდს სამნი გააუძღვებინა. მთავარმა მწვრთნელმა პარტნიორები დაასახელა. უახლოესი სამი მატჩისთვის ნაკრების მომზადებაში ალექსანდრე ჩივაძეს მურთაზ ხურცილავა და ოთარ გაბელია დაენმარებინა. მწვრთნელმა ლუქსემბურგის, უნგრეთისა და ლიტვის ნაკრებებთან სათამაშოდ ერთბაშად 31 ფენბურთელი შეიგულა და ეურნალიტებს მოთამაშეთა გრძელი სია წარუდგინა. მათგან 21, ლუქსემბურგში 15 აგვისტოს ამხანაგური მატჩისთვის მოემზადება. პაწაწინა ქვეყანაში 18 გაემგზავრება. მმპარმმპმპმპმპ: დავით გვარამაძე (ტორპედო), სერგო ჭურაძე (ვიტ ჯორჯია), გიორგი ლომია (ლოკომოტივი); მცმმმმპმპმპმპ: რევაზ ქემოკიძე, ვალერი აბრამიძე (ორივე — ტორპედო), ოთარ ნიწანეიშვილი (როსტელმში), გიორგი შაშიაშვილი (დინამო თბ), ედიკ საჭია (ვიტ ჯორჯია); ნუნმპარმმპმპმპმპმპ: გივი დიდავა, მაღლაშ ასათიანი (ორივე — ტორპედო), ზურაბ ნიწანეიშვილი (დანდი), ლევან ცქიტიშვილი (ფრაიბურგი), გონა ჯამარაული (ციურინი), გიორგი ვახოკიძე (ეინდოვენი), როინ ონიანი (ლოკომოტივი), ლადო ბურდული, არჩილ სახვაძე (ორივე — დინამო თბ); ტაპპპპპპპპპპპპპპპ: ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი), ზაზა ჯანაშია

(ლოკომოტივი, მოსკოვი), გიორგი დემეტრაძე (სოსიედადი), რატი ალექსიძე (ჩელსი).

უშუალოდ, მსოფლიო ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩისთვის ნაკრებს კიდევ ათი ფენბურთელი შეუერთდება: კახა კალაძე (მილანი), თემურ ქვეცია (ვულვერბრემტონი), გიორგი ქინქლაძე (დერბი), არჩილ არველაძე (კიოლინი), შოთა არველაძე (აიაქსი), მიხეილ კაველაშვილი (ციურინი), ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი), ალექსანდრე რენჯიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი (ორივე — სკონტო), გიორგი ნემსაძე (დანდი). მათ მწვრთნელი 28 აგვისტოს მარიაპოლის დღეს უნმობს ოფიციალურ მატჩებამდე ოთხი დღით ადრე.

ლუქსემბურგში ნაკრები თბილისი-პრადა-ფრანკფურტის რეისით გაემგზავრება, დანიშნულების ადგილას კი ავტობუსით ჩავა. მატჩი 19 საათზე დაიწყება. გაირკვა შესარჩევი მატჩების ჩატარების ადგილი და დრო. 1 სექტემბერს ქართველები უნგრელებს და 5 სექტემბერს ლიტველებს „ლოკომოტივის“ სტადიონზე უმასპინძლებენ. მატჩები 21 საათზე დაიწყება. შესაბამისად, ახალგაზრდული გუნდების შეხვედრები 31 აგვისტოსა და 4 სექტემბერს 20 საათზე ეროვნულ სტადიონზე გაიმართება.

ვერს საქუთარ თავს, ვერს ვიქინგებს ვერ ვაჯოგათ

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი, საპასუხო მატჩი

კოპენჰაგენი. „ბარკენის“ სტადიონი. 1.08.01 წ. კოპენჰაგენი — ტორპედო 3-1

კოპენჰაგენი: კილსტედი, რიტერი, მადსენი, ლაურსენი, იენსენი, ლონსტრუბი (ბისგარდი 61), როლი, პოულსენი, ტორნიგერი (კრისტიანსენი 81), ფერნანდესი, ზუმა (ფრიდგარდი 70).

ტორპედო: გვარამაძე, აბრამიძე, თოდუა, ქემოკიძე, პარამონოვი (გვირგიშვილი 68), მახვილაძე, იონანიძე, ახალკაცი (ქუთათელაძე 58), ასათიანი (გონჩაროვი 37), აკოფიანი, აშვეთია.

გოლები: 1-0 ზუმა (45), 2-0 ლონსტრუბი (59), 3-0 ფერნანდესი (75), 3-1 ქუთათელაძე (90).

მსაჯი: პ. ლარიბიანი (საფრანგეთი).

როგორც ჩანს, ქართველები ევროპულ სარბიელზე მხოლოდ პირველი, საწყისი საკვალიფიკაციო ეტაპის შესაფერის ფეხბურთს ვითამაშობთ დღესდღეობით. ასე იყო ინტერტოტოზე, როცა „ვიტ ჯორჯიამ“ „რილი“ დაამარცხა, მაგრამ მერე ფრანგულ „ტრუ-

ას“ ვერაფერი მოუხერხა და ტურნირს გამოეთიშა. ჩემპიონთა ლიგაში ვეტერინართა მსგავსი გზა გავლო ჩვენმა ჩემპიონმა. პირველ ეტაპზე ქუთათელები „ლინფილდს“ კი მოერივნენ, მაგრამ შემდეგ სკანდინავიური ბარიერი ვერ გადალახეს და

ჩემპიონთა ლიგა

თავად მიჰყვნენ ჩრდილოეთ ირლანდიელებს. ბევრი სალაპარაკო არაფერი გვაქვს. შორია ლიგამდე. იმ გვირაბში შეღწევა, რომელსაც ჩემპიონთა ლიგა ჰქვია, ჩვენთვის ჯერ აუხდენელ ოცნებად რჩება. „ტორპედოს“ სარეაბილიტაციოდ მხოლოდ შინაური სარბიელი შერჩა ხელთ. არადა, იმედის მცირე ნაპერწკალი კიდევ კიაფობდა, თუმცა დანიელებმა ის, რაც ქუთაისში ვერ განახორციელეს, შინ ჩინებულად შეასრულეს და ახლა „ლოკოს“ დაეჭიდებიან. რომელებთან პეკრობაში „კოპენჰაგენის“ გამარჯვება ნაკლებადაა მოსალოდნელი, თუმცა, ამში ჩვენთვის სანუგეშო არაფერია. სამი ევროტურნირიდან ქართული კლუბებისთვის ორი უკვე დამთავრდა.

მიხეილ საპასუხო მატჩი



ვლადიმერ (ალაბანეთი) — გალათასარია (თურქეთი)



ლუგანო (უკრაინა) — შახტარი (უკრაინა)

ჩემპიონთა ლიგა. საპასუხო მატჩები. 1.08.01

- შერიფი (მოლდოვა) — ანდერლენტი (ბელგია) 1-2 (0-4)
- ვისლა (პოლონეთი) — სკონტო (ლატვია) 1-0 (2-1)
- მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — ჰაეა (ფინეთი) 4-0 (1-0)
- პალმსტადი (შვედეთი) — ბოჰემიანსი (ირლანდია) 2-0 (2-1)
- ინტერი (სლოვაკეთი) — მოზირი (ბელარუსი) 1-0 (1-0)
- ცრენა ზეზლა (იუგოსლავია) — ომონია (კვიპროსი) 2-1 (1-1)
- ვლადიწია (ალბანეთი) — გალათასარია 1-4 (0-2)
- სლოვა (მაკედონია) — სტიაუა (რუმინეთი) 1-2 (0-3)
- ბერი თაუნი (უელსი) — პორტუ (პორტუგალია) 3-1 (0-8)
- ბრანი (ნორვეგია) — ლევსკი (ბულგარეთი) 1-1 (0-0)
- რენჩერსი (შოტლანდია) — მარბორი (სლოვენია) 3-1 (3-0)
- ჰაიდუკი (ხორვატია) — ფერენცვაროში (უნგრეთი) 0-0 (0-0) პ. 5-4

შენიშვნა: შავი შრიფტით გამოყოფილია გუნდები, რომლებიც მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

მესამე ეტაპი, 7-8, 21-22 აპრილი

- გალათასარია (თურქეთი) — ლევსკი (ბულგარეთი)
- კრენა ზეზლა (იუგოსლავია) — ლევკუშენი (გერმანია)
- აიაქსი (პოლანდია) — სელტიკი (შოტლანდია)
- შახტარი (უკრაინა) — დორტმუნდი (გერმანია)

- ვისლა (პოლონეთი) — ბარსელონა (ესპანეთი)
- პალმსტადი (შვედეთი) — ანდერლენტი (ბელგია)
- პორტუ (პორტუგალია) — გრასპოპერსი (შვეიცარია)
- ლოკომოტივი (რუსეთი) — ტიროლი (ავსტრია)
- რენჩერსი (შოტლანდია) — ფენერბახე (თურქეთი)
- ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია)
- სლოვა (პრატა, ჩეხეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
- პარმა (იტალია) — ლილი (საფრანგეთი)
- სტიაუა (რუმინეთი) — დინამო (კიევი, უკრაინა)
- კოპენჰაგენი (დანია) — ლაციო (იტალია)
- მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — ლივერპული (ინგლისი)
- ჰაიდუკი (ხორვატია) — მალორკა (ესპანეთი)



ბრაზილია შეაღებენლოგას ასახელავს

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ლუის ფელიპე სკოლარიმ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისათვის (14 აპრილი) პარაგვაის წინააღმდეგ დაასახელა შემადგენლობა:

მეკარეები: მარკუშინი („პალმეირასი“), დიდა („მილანი“).
მცველები: ჟუანი („ფლამენგო“), კრიზი („გრუზეირო“), ბელეტი („სან-პაულუ“), კაფუ („რომა“), ლუსიუ („ბაიერი“), როკე ენიორი („მილანი“), რობერტო კარლოსი („რეალი“).
ნახევარმცველები: ვამპეტა („პსუ“), ედუარდუ კოშტა („ბორდო“), პინგა („გრემიო“), ლეონარდო („სან-პაულუ“), ჟუნიონო პაულისტა („ვასკო და გამა“), ალექსი („პარმა“), რივალდო („პარსელონა“).
თავდასხმელები: ეულერი („ვასკო და გამა“), ედილსონი („ფლამენგო“), ელბერი („ბაიერი“), დენილსონი („პეტისი“), მარსელინო პარანა („პეტრეა“).



პსუ (საფრანგეთი) - ბენეტი (ბელგია)


ინტერტოტოს თასი
ნახევარფინალები, საპასუხო მატჩები
ლოზანა (შვეიცარია) - ბაზელი (შვეიცარია) 2-2 (0-3)
ვოლფსბურგი (გერმანია) - ტრუა (საფრანგეთი) 2-2 (0-1)
პსუ (საფრანგეთი) - გენტი (ბელგია) 7-1 (0-0)
ბრეშა (იტალია) - ბლანკი (ჩეხეთი) 2-2 (2-1)
ნიუკასლი (ინგლისი) - მიუნხენი 1860 (გერმანია) 3-1 (3-2)
ასტონ ვილა (ინგლისი) - რენი (საფრანგეთი) 1-0 (1-2)



ფინალი 7-21 აპრილი
ბაზელი (შვეიცარია) - ასტონ ვილა (ინგლისი)
პსუ (საფრანგეთი) - ბრეშა (იტალია)
ტრუა (საფრანგეთი) - ნიუკასლი (ინგლისი)

ამხანაგური მატჩები

„რომა“ - „არსენალი“ 1-0
მონტელა (45)
„დინამო“ (კიევი) - „ბრიუგე“ 3-0
„სპორტივნი“ - „ვილიარეალი“ 0-1
სურათში: „რომა“ - „არსენალი“




გიგზის იუბილე

მანჩესტერში საგანგებო მატჩით აღნიშნეს რაიან გიგზის ათწლიანი მოღვაწეობა „მანჩესტერში“. ერთმანეთს შეხვდნენ „მანჩესტერი“ და „სელტიკი“.

„ოლდ ტრაფორდზე“ თავი მოიყარა 67000 მაყურებელი. მთელი შეხვედრა მიმდინარეობდა სტუმართა მცირე უპირატესობით. გულშემატკივარს აინტერესებდა თუ როგორ გამოიჩენდნენ თავს მანჩესტერის ახალწვეულები: ხუან სებასტიან ვერონი და რულ ვან ნისტელროი. მეოთხე წუთისთვის სტუმრები უკვე 2-0 დაწინაურდნენ, ჯერ სატონმა გახსნა ანგარიში, ხოლო შემდეგ ლენონმა მეორე გოლი გაიტანა. ამ შეხვედრაში შეუღარებელი იყო ვან ნისტელროი, რომელმაც 24-ე წუთზე ერთი ბურთი გატანა. 29-ე წუთზე ლამბერტმა გაიტანა მესამე გოლი „მანჩესტერის“ კარში, ხოლო 64-ე წუთზე ვერონის შორეულმა დარტყმამ მიაღწია მიზანს და ანგარიში გახდა 2-3. 66-ე წუთზე მორაიგის გააქვს მეოთხე გოლი, 84-ე წუთზე კი ვან ნისტელროიმ შეამცირა ანგარიშის სხვაობა 3-4.

მაყურებელთა აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა მის შემდეგ, რაც მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, სკოლარის ნაცვლად მინდორზე შევიდა ერიკ კანტონა. მატჩის შემდეგ გიგზი ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგით გამდიდრდა. „მანჩესტერის“ ჟურნალის საიუბილეო მესამე გამოცემაში გიგზი დასახელებულია მესამე ფეხბურთელად (ჯორჯ ბესტისა და ერიკ კანტონას შემდეგ) „მანჩესტერის“ ისტორიაში.

„მანჩესტერი“ - „სელტიკი“ 3-4
0-1 სატონი (2), 0-2 ლენონი (4), 1-2 ვან ნისტელროი (24), 1-3 ლამბერტი (29), 2-3 ვერონი (64), 2-4 მორაიგისი (66), 3-4 ვან ნისტელროი (84).



მანჩესტერ იუნაიტედი - სელტიკი. გარდევია ზეა რაიან გიგზი (მუქ მაისურში)

ჯორჯკაეფი არავის სურს?

„კაიზერსლაუტერნის“ ხელმძღვანელობამ „ტრანსფერ-ლისტში“ შეიტანა საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი იური ჭორაეფის გვარი. ამას თვით ჭორაეფი კარგა ხანია დაეინებით თხოვდა. მაგრამ იმ რა არის უცნაური: როგორც „კაიზერსლაუტერნის“ მწვრთნელი ანდრეას ბრემე ამბობს, ჭორაეფის შექმნა არავის სურს.

336 დარსარი - «ფულ-კაფი»

ელვინ ვან დერ სარმა საბოლოოდ მაინც არ მოინდომა სამშობლოში დაბრუნება და ამსტერდამის „აიაქსში“ თამაში. „იუვენტუსის“ ყოფილმა მეკარემ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა ინგლისის პრემიერ-ლიგაში აღზევებულ, ლონდონის უმდიდრეს კლუბს „ფულჰემთან“, რომელსაც ჟან ტიგანი წვრთნის. „ფულჰემი“ 2001-2002 წლების ჩემპიონატში მალა საპრიზო ადგილებს უზიზნებს.



რაკობას 12 თვით დისკვალიფიკაცია ემუქრება


სანამ იტალიის ჩემპიონატი დაიწყება, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება იმ 11 ფეხბურთელის შესახებ, რომლებიც ყალბ პასპორტებს იყენებდნენ. მათ შორის ყველაზე ცნობილია მილანის „ინტერისა“ და ურუგვაის ნაკრების თავდამსხმელი ალგარო რეკობა, რომელსაც 12 თვით დისკვალიფიკაცია ემუქრება.

თქვენთვის, ერუდიტებო!

- 1. ვინ იყო „კობა ამერიკის“ გათამაშების პირველი გამარჯვებული:
ა) არგენტინა
ბ) ურუგვაი
გ) ბრაზილია
 - 2. დახანტელებული გუნდიდან რომელი ფლობდა ევროპის სამივე თასს (ჩემპიონთა, თასის მფლობელთა და უეფა):
ა) ბარსელონა
ბ) მანჩესტერი
გ) რეალი
 - 3. ვინ იყო ზედიზედ ორჯერ (1973 და 1974) ევროპის „ოქროს ბურთის“ მფლობელი:
ა) კევინ კიგანი
ბ) იოჰან კრუიფი
გ) ფრანც ბეკენბაუერი
 - 4. სად დაიბადა საფრანგეთის ნაკრების ცნობილი ფორვარდი, 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ჟიუსტ ფონტენი:
ა) სულანი
ბ) ალკირი
გ) მარკო
 - 5. რომელი ფეხბურთელის ზედმეტის სახელია „ჩოლო“:
ა) სიმეონე
ბ) ვივასი
გ) აიმარი
- წინა ნომრის პასუხები:
1 - ბ, 2 - ა, 3 - ა, 4 - ა, 5 - ა.

გაორბე პოპესკუ ნაკრებს უბრუნდება

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპზე საქართველოს ნაკრების მენტორის, რუმინეთის ეროვნული გუნდის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა „კარპატელ მარალონად“ ცნობილმა გეორგე ჰაგიმ ნაკრებში ძველ მეგობარს, სენისასა და ჭვისლს გეორგე პოპესკუს უბო. ნიშანდობლივია, რომ მათ არაერთხელ დაუტავთ ეროვნული ნაკრების ლირსება (ჰაგის 125-ჯერ, პოპესკუს 101-ჯერ) და მწვრთნელმა ახლაც ისურვა გამოცდილი ფეხბურთელის ხილვა მინდორზე ნაკრების



რუმინელები 15 აგვისტოს ამხანაგურ მატჩს გამართავენ ლუბლიანაში სლოვენის ნაკრებთან, სწორედ ამ მატჩში შედგება გეორგე პოპესკუს „დებიუტი“ ნაკრებში.

ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

აპრილი	რაბილი	0-1				
ბრეგენცი	შტურმი	0-5				
აუსტრია	რიდი	3-3				
გრაცერი	კერნტენი	5-0				
ტიროლი	ადმირა	6-0				
თ. მ. ფ. წ. ბ. ქ.						
ტიროლი	5	4	1	0	14-0	13
გრაცერი	5	3	1	1	13-6	10
შტურმი	5	3	1	1	11-4	10
რაბილი	5	3	1	1	9-7	10
რიდი	5	2	3	0	12-8	9
კერნტენი	5	2	0	3	5-10	6
ზალცბურგი	5	1	2	2	2-4	5
აუსტრია	5	0	3	2	6-8	3
ბრეგენცი	5	1	0	4	2-16	3
ადმირა	5	0	0	5	1-13	0

შარდალი - 8 მილიონი და 3 მოთამაშე

მარია ჟარდელს სატრანსფერო პერიოდში არაერთი მყიდველი ჰყავდა, მაგრამ ხან რა გამოჩნდა და ხან რა. ბოლოს ბრაზილიელს მაინც „ბორტუ“ ეუფლება, თანაც თავისებურ პირობებში: სტამბოლის „გალათასარაი“ თავდამსხმელში 9 მილიონ დოლარს მიიღებს, რომელსაც სამი მოთამაშეც დაემატება. ერთი მოთამაშე რუსეთის ნაკრების ნახევარმცველი აღენიჭება.



მარია ჟარდელი გოლის გატანას უზიზნებს



ისტორიული ფაქტების ისტორიკა

ნანდორ პილგატი სულაბ არა კვავდა „განას“

სულ რამდენიმე დღეში უნგრეთის ფეხბურთის ფედერაცია საზეიმოდ აღნიშნავს თავისი არსებობის 100 წლისთავს. გაიმართება არაერთი საყურადღებო ღონისძიება, 15 აგვისტოს კი უნგრეთის ნაკრები, ასე ვთქვათ, 50-იანი წლების „დიდი გუნდის“ მეგობრულ, რომელიც თავის დროზე მთელი საფეხბურთო სამყაროს სიამავე იყო, ეთამაშება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, გერმანიის ნაკრებს.

გთავაზობთ ჩანახატს „დიდი გუნდის“ ერთ-ერთ კოლორიტულ წევრ ნანდორ პილგატის შესახებ. ისიც ვთქვათ, რომ იმ 11 განთქმული ფეხბურთელიდან დღეისათვის ცოცხალია მხოლოდ 4: დიუდა გროშიჩი, უდავოდ უძლიერესი მეკარე, საერთოდ, უნგრულ ფეხბურთში, მცველი იენე ბუნანსკი, ლეგენდარული ფერენც პუშკაში და პილგატატი.

რომ 1958 წლამდე, მთელი 6 წლის განმავლობაში, სანამ ასაკის გამო ნაკრები არ დატოვა, მის შეცვლაზე ლაპარაკიც კი არ ყოფილა. სულ ნაკრებში 1958 წლამდე 68 მატჩი ჩატარა (შეიღვეთ კაპიტანიც იყო), 39 გოლი გაიტანა. 1952 წელს უნგრელები ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. თუ ვინმე გამოირჩეოდა პელისონში, ერთ-ერთი, რა თქმა უნდა, სწორედ პილგატატი იყო.



1954 წ. მსოფლიო ჩემპიონატი. უნგრეთი - ბრაზილია 4-2. პილგატატი (სურათზე მარჯვნივ) მატჩის მეოთხე წუთზე გოლი გააქვს მეტოქის კარში



ბურთელი, რა თქმა უნდა, ნანდორ პილგატატი იყო, რომელსაც ინგლისელებმა, შეიძლება ითქვას, ვერაფერი გაუგეს. აი, რა განაცხადა ინგლისელმა თავდამსხმელმა ჯეკი სიუელმა. „ჩვენ შევეჩვიეთ, რომ კონტინენტური გუნდების ფეხბურთელები ჯერ უახლოვდებიან კარს, შედიან საჭარიშოში, ხოლო შემდეგ ურტყამენ კარში. როცა, პილგატატი პირველივე წუთზე 20 მეტრიდან დაარტყა და გოლიც გაიტანა, ჩვენ საბტად დავრჩით“.

პილგატატი ნეიტრალიზება ლონდონის მატჩში ცენტრალურ ნახევარმკველ პარი ჯონსტონს დაეკავს, რომელიც უნგრელის თამაშს სრულიად დადებითად ინგლისელების წარმოდგენაში ცენტრალური თავდამსხმელი „ტანკის“ მსგავსი უნდა ყოფილიყო (მათ გუნდებს ჰყვდათ კიდეც ასეთი „ტანკები“) - ფიზიკურად მეტად ძლიერი, ჩუხჩუხი, მებრძოლი, რომელიც მეტოქის კარის სიახლოვეს თამაშობდა, მასთან გამკლავება იოლი როდი იყო. ასეთი ცენტრალური თავდამსხმელები იყვნენ თედ ლივიცი, ტომი ლაუტონი, ნეტ ლოფტჰაუსი. რითი ჰგავდა მათ პილგატატი? ნაკლებად! იგი სიღრმეში იყო დახეული და კარის სიახლოვეს ხან ერთი პარტიკული გაკავდა, ხან მეორე. უნდორ კოჩიში თვით თვით ინგლისელებზე უკეთ თამაშობდა, იგი სწრაფად იყო დაბადებული. რაც შეეხება ფერენც პუშკასს, მისი მსგავსი ოსტატური ინგლისელებს საერთოდ არ ენახათ, ასეთი ძლიერი და ზუსტი დარტყმები მარცხენით...

ჰონსტონმა არ იცოდა, რა მოეხერხებინა პილგატატი თავის მიმართ. იყო ორი შესაძლებელი ვარიანტი: ან ამდგარიყო და მინდვრის ცენტრამდე გაჰყოლოდა, ანდა, საერთოდ, მუუერეობის გაერე დაეტოვებინა. არც ერთი მოიტანდა ხეირს და არც მეორე. თუ ჯონსტონი წინ წავიდა, სიციხილე და ხერხეული წარმოიშობოდა, სადაც შეიჭრებოდნენ არა მარტო კოჩიში და პუშკაში, არამედ ბუდაი და ციბორიც. თუკი მეორე არ ეყოლებოდა, პილგატატი დაუბრკოლებლივ მიუახლოვდებოდა კარს, გნებავთ შორიდან დაარტყამდა და გოლს გაიტანდა, როგორც არაერთგზის გაუკეთებია. ჯონსტონმა მატჩის შემდეგ იმით იმართლა თავი, რომ არავითარი სპეციალური ინსტრუქცია არ მიუღია, როგორ უნდა ეთამაშა პილგატატი წინააღმდეგ.



1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის წინ (გორ - უნგრეთი) უნგრეთის ეროვნული ნაკრები. მარცხნიდან - პუშკაში, გროშიჩი, ლორანტი, პილგატატი, ბოუიკი, ზაკარაში, ლანტოში, ბუნანსკი, ტოტი, კოჩიში, ციბორი. ფოტოები „ლელოს“ არქივიდან

სინტერესოა, რომ ასე თამაში პილგატატი თავისთვის არავის უსწავლავდა. მან თვით მიაგნო პარტიკული თამაშის უკეთ ურთიერთმოქმედების საშუალებას, სულაც არ მიანდა თავი რაღაც დიდ ნოვატორად, თვითონ მიხვდა, რომ მისი თამაშის თავისებურ მანერას დიდი სარგებლობა მოაქვს. როცა ლონდონის მატჩიდან რამდენიმე თვის შემდეგ ინგლისელები თვით ეწვივნენ ბუდაპეშტს, იქაც ვერაფერს გახდნენ, სამარცხვინო ანგარიში კი ჩვენ უკვე აღვნიშნეთ!

ასე გაგრძელდა 1954 წლამდე. ითვლებოდა, რომ მსოფლიოს V ჩემპიონატში, რომელიც იმავე წელს შეეცარიაში ჩატარდა, უნგრელებს ვერაფერს გაუძლებდა მართლაც, ვინ უნდა ყოფილიყო „დიდი გუნდის“ მეტოქე? ინგლისელებზე ლაპარაკიც კი, აღარ იყო; იუგოსლაველებზე ხომ ოლიმპიადამ დაამარცხა, გერმანელების რეალური ძალა არავინ იცოდა, ისე კი, ბევრს არაფერს მოელოდნენ, ფრანგები დიდ ფეხბურთის არ თამაშობდნენ, პოლანდელებსა და ესპანელებს, ცხადია, აფასებდნენ, მაგრამ მათ ხომ საპრიზო ადგილებზე პრეტენზია ვერ ექნებოდათ, არც ბრაზილიელებისა და არგენტინელებისგან ელოდნენ მაინცდამაინც ბრწყინვალე თამაშს.

საქართველი პირი
„პორტუ“ საპასუხისმგებლო შეხედრისთვის კი ემზადება, მაგრამ გერმანიაში თავის ცნობილ მეკარე ვიტორ ბაიას ტრავმები დაემართა, ახლაც მიიმედ არის დაშვებული და მისი მკურნალობას, როგორც ექიმები ვარაუდობენ, კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდება.

საქართველი პირი
როგორც იუგოსლავიელი ფეხბურთელი, „პარმაში“ მოთამაშე სავო მილომევიჩი აცხადებს, მის თავზე რაღაცა ხდება. სამი თვის წინათ მას მანქანა მოსტაცეს, მის კვალს კი ვერსად მიაგნეს. ახლა ქურდები მილომევიჩის ბინაში შეიჭრნენ, გაძარცვეს. ისინი რე ნერვიულობდნენ, რომ საქმარისი იყო მილომევიჩი ორნავ

„ბრაზილიელის მორაპორტის“ ვარიანტი
ასეთი განცხადება გააკეთა „მოდანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანომ, რომელიც, მას შემდეგ, რაც სილოვია ბერლუსკონი იტალიის პრემიერ-მინისტრი გახდა, ფაქტობრივად, განაგებს გუნდის საქმეებს. საქმე ის არის, რომ ბრაზილიელი

გერმანელები „მილანს“ არ გამოადგებიან
ფეხბურთელები „მილანს“ არ გამოადგებიან. ისინი უნდა ამათგურ თუ მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირის მატჩებში მონაწილეობენ და „მილანში“ მუდამ მოუშვებლები თამაშობენ.

მოსკოვის „სპარტაკის“ ცნობილი
მოსკოვის „სპარტაკის“ ცნობილი მეკარე ალექსანდრ ფილიპონოვი უკანასკნელ ხანებში არაერთი მატჩი იგება. მან დაჯარვა ადგილი „სპარტაკში“, სადაც კარს უკარანელი მესამე ლევიცი იცავს, ისე, რუსეთის ნაკრებში, სადაც ახლა რუსლან ნეგმეტოვი თამაშობს. ახლა ალექსანდრ ფილიპონოვმა საკმაოდ მოულოდნელად კონტრაქტი გააფორმა კიევის „დინამოსთან“.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ანგარიშები

ანი და თასის მფლობელი ხედებიან. ამასთან, სუბერტასზე მატჩი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოეწყობა, თუკი ჩემპიონის წოდებას და თასს სხვადასხვა გუნდები მოიპოვებენ.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ანგარიშები

განძრეულიყო, მაშინვე სიციხეს გამოასალმებდნენ.

ფეხბურთელები „მილანს“ არ გამოადგებიან. ისინი უნდა ამათგურ თუ მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირის მატჩებში მონაწილეობენ და „მილანში“ მუდამ მოუშვებლები თამაშობენ.

გერმანელები უპასუხა, რომ მან უკვე მონახა სხვა კლუბი.

მოსკოვის „სპარტაკის“ ცნობილი
მოსკოვის „სპარტაკის“ ცნობილი მეკარე ალექსანდრ ფილიპონოვი უკანასკნელ ხანებში არაერთი მატჩი იგება. მან დაჯარვა ადგილი „სპარტაკში“, სადაც კარს უკარანელი მესამე ლევიცი იცავს, ისე, რუსეთის ნაკრებში, სადაც ახლა რუსლან ნეგმეტოვი თამაშობს. ახლა ალექსანდრ ფილიპონოვმა საკმაოდ მოულოდნელად კონტრაქტი გააფორმა კიევის „დინამოსთან“.



მსოფლიო ჩემპიონი პოლო ალვილზა - მოგა უნებური ხომ არ არის?

მსოფლიო ჩემპიონი ფიდეკ ვერსი-ით ვიწვანათან ანანდი, როგორც ცნობილია, მთელი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით თამაშობს სხვადასხვა სიდიდის საერთაშორისო ტურნირებში, მაგრამ, ათასში ერთხელ, რომ იტყვიან, სათამაშო განწყობილებას უკარგავს. აი მაშინ კი მისი შედეგი ისეთია, უარესი რომ არ შეიძლება...

ახლა საჭადრაკო პრესა ბევრს წერს დორტმუნდის 29-ე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც ფიდეკ უმაღლესი, XXI კატეგორია მიენიჭა. მასში 6 ცნობილი დიდოსტატი მონაწილეობდა, რომლებიც ორ წრედ თამაშობდნენ. როგორი იყო ანანდის შედეგი? მან ვერც ერთი პარტია ვერ მოიგო, 4 წააგო, 4 ყაიმით დაასრულა და 3 ქულით 10 შესაძლებელიდან ბოლო, მეექვსე ადგილზე გავიდა. ამაზე მეტი ჩავარდნა რაღა უნდა იყოს? ახლა ანანდი რეიტინგ-ლისტში მთელ 27 ქულას დაკარგავს.

მაინც რა იყო ესოდენ დიდი მარცხის მიზეზი? შეიძლება ის, რომ ანანდი თითქმის მთელი 6 თვის მანძილზე შეუსვენებლად თამაშობდა და დორტმუნდში გამოსვლის წინ მისამზადებლად დრო აღარ დარჩა. უკვე პირველმა პარტიებმა აჩვენეს, რომ დებიუტის სფეროში ინდოელს რაიმე სიახლე არა აქვს. იგი, უბრალოდ, თვალყურს ადევნებდა მეტოქეთა თამაშს, მათ სადებიუტო სიურპრიზებს, ცდილობდა შემდეგ პარტიებში ამ სიახლეების გამოყენებას. თუ ვინმე შესთავაზებდა ყაიმის, ხომ კარგი, თუ არა

და, თვით ჩამოადგება ხოლმე სახავო წინადადებას.

ერთი სიტყვით, მოსალოდნელი დეუდი ანანდსა და მეორე მსოფლიო ჩემპიონს („ინტელექტუალური თამაშების ასოციაციის“ ვერსიით) გლადიმიორ კრამნიკს შორის არ შედგა. საინტერესოა, რომ კრამნიკი ყოველთვის უზარმაზარი წარმატებით თამაშობს დორტმუნდში. იგი აქ ზედვიხედ შეიძვერ გამოვიდა, ექვსჯერ პირველი იყო და მხოლოდ ერთხელ დაუთმო პირველი პრიზი პეტერ ლეკოს.

ამჯერად კრამნიკმა 10 შესაძლებელიდან 6,5 ქულა მოაგროვა (3 მოგება და 7 ყაიმის), ამდენივე პქონდა ბუნებრივ დიდოსტატ ვესელის ტოპ-ლოვს, მაგრამ დამატებითი მონაცემებით პირველი პრიზი კრამნიკს მიენიჭა. ისე კი, პრესამ აღნიშნა ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ ტოპ-ლოვს კვლავ მწყობრში ჩადგომა. მესამე ადგილი 5,5 ქულით უნგრელმა პეტერ ლეკომ დაიკავა. მისი შედეგი, ცოტა არ იყოს, უცნაურია. საქმე ის არის, რომ ახალგაზრდა დიდოსტატი არავისთან აგებს, ამასთან, თვითონაც ათასში ერთხელ იგებს. ამჯერად მან 9 (!) პარტია ყაიმით დაასრულა და მხოლოდ ერთხელ (ინგლისელ მაიკლ ადამსთან) გაიმარჯვა. ისე კი, მესამე საპრიზო ადგილი უნგრელს მაინც თავდასაჩინო წარმატებად ჩაეთვალია. 5 ქულით დაასრულა შეჯიბრება ალექსანდრ მოროზოვიმ, რომელიც ყველა ტურნირის სასურველი მონაწილე თავისი უადრესად საბრძოლო, უკომპრომისო სტილის გამო: ან იგებს, ან აგებს (ამჯერად 3 პარტია მოიგო, ამდენივე წააგო, 4 ყაიმით დაასრულა მას შემდეგ რაც დაფაზე თამაშის გასაგრძელებელი არაფერი დარჩა). ინგლისელ დიდოსტატ მაიკლ ადამსს (3,5 ქულა მოუგებლად) მარცხად ჩაეთვალია მეხუთე ადგილი.

მიმომხილველთა სიტყვით, ვლადიმირ კრამნიკი გამოიყურებოდა დორტმუნდში როგორც „ნამდვილი მეფე“

გივი გამრეხელი



გორან ივანტსევიჩი


თუკი კარგენი ფინალადა მიადნავს



მონრეალში (კანადა) მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში ანდრე ავასის ხორვატ ლიუბიჩიჩთან მოლოდინული დამარცხების შემდეგ შეიძლება ამერიკელმა ATP-ის 2001 წლის საჩემპიონო მარულაში პირველი ადგილი დაკარგოს და მის გუსტავო კუერტენმა გაუსწროს. საამისოდ კუერტენი აუცილებლად უნდა გავიდეს ამ ტურნირის ფინალში.

ოლაჯუიონი ითამაშებს კარგვითან ერთად

„პიუსტონის“ ცნობილმა ცენტრმა ჰაკიმ ოლაჯუიონმა ამერიკული მისამართი შეცვალა კანადურით — იგი „ტორონტოში“ გადავიდა. „პიუსტონმა“ სუპერცენტრი გაცვალა ორ მოთამაშეში. „პიუსტონი“ ჰაკიმს სამწლიან კონტრაქტს სთავაზობდა 13 მილიონიან საერთო თანხით, მაგრამ ოლაჯუიონმა უარყო ეს წინადადება. ოლაჯუიონმა „პიუსტონში“ 17 სეზონი გაატარა, ორჯერ მოიგო (1994-1995) ნბა-ს ჩემპიონის ტიტული. „ტორონტოში“ ოლაჯუიონი ითამაშებს ვინს კარტერთან ერთად, რომელმაც 94 მილიონიან ექვსწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.



ჰაკიმ ვარრიკი

კორჩნოი ბრწყინვალად თამაშობს

ბილში (შვეიცარია) დასასრულს მიუახლოვდა 6 დიდოსტატის ორწრიანი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც ფიდეკ საემალ მაღალი, XVII კატეგორია მიენიჭა.

ყველაზე უკეთ თამაშობს 70 წლის ვეტერანი, მსოფლიოს ყოფილი ციციჩემპიონი ვიტორ კორჩნოი (შვეიცარია). 8 ტურის შემდეგ მას 5,5 ქულა აქვს. ლიდერმა მოიგო 4 შეხვედრა, 3 ყაიმით დაასრულა და წააგო მხოლოდ ერთი — ახალგაზრდა შვეიცარიელ დიდოსტატ იანიკ პოლეტეისთან (რომელიც მეორე წრეში დაამარცხა).

კორჩნოის ერთი ქულით ჩამორჩება ახალგაზრდა დიდოსტატი პეტრე სვილერი. მეტოქეები ერთმანეთს განმეორებით უკანასნელ, მეათე ტურში შეხვდებიან. თუ სვილერიმ ეს პარტია ვერ მოიგო...

აგვისტოს სპორტული გადახვევა

3 აგვისტო, პარასკევი
საქართველოს ტელევიზია. ვერა. „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ESPN. ფეხბურთი. მსოფლიო თასი. მიმოხილვა (12.00), „რაგბის საყარო“ (19.00), EUROSPORT. მძლეოსნობა. 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატი (15.30, 21.30), მძლეოსნობა. მსოფლიო ახალგაზრდული ჩემპიონატი (01.30),

HTB plus ფიზილ. ესპანეთის ჩემპიონატი „ბარსელონა“ — „დეპორტივო“ (14.45), შოტლანდიის მატჩი 1,2 (19.25, 21.40), ჩემპიონთა ლიგა. „პლატინა“ — „მილანი“ (23.25), HTB plus სპორტ. მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში (15.20), ტაილანდური კრივი (20.30), კარატე. ვეროპის ჩემპიონატი (23.45).

თის „ტორპედო“ — „სპარტაკი“ (15.55), გერმანიის „ბავარია“ — „შალკე-04“ (18.25), იტალიის განვლილი ჩემპიონატი. „იუვენტუსი“ — „ინტერი“ (22.45), ჩემპიონთა ლიგა. „სპარტაკი“ — „ლიონი“ (00.15), HTB plus სპორტ. ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (0.50).
5 აგვისტო, შაბათი
ESPN. ფეხბურთი. ლიგერპულის სახაზო-ზოლო ტური. ტაილანდი — ლიგერპული (08.00, 16.00), EUROSPORT. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30, 19.00, 01.00), შოტლანდიის. მსოფლიო ჩემპიონატი (16.00), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (18.00), HTB plus ფიზილ. გერმანიის ჩემპიონატი. „ბავარია“ — „შალკე-04“ (15.00), იტალიის განვლილი სეზონი (17.35), საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (19.45), გერმანიის „აიზენ-სლაუტერნი“ — „ბორუსია“ (20.25), საფრანგეთის ჩემპიონატი (23.40), HTB plus სპორტ. კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (16.30), მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა (23.15);

Crossword puzzle grid with numbers 1-27. Includes a small TV icon with text 'სპორტი ნისფარ აკრანზე'.

კოსმორი №60
ანუ... 12. ხესა და ჭებს მონდებული უფესო მცენარე, 13. რაიმეს შესრულების ისწრაფე, 14. ინგლისის ცნობილი საფეხბურთო კლუბი, 15. წარსულში ცნობილი იპონელი ძიუდოსტი, 17. შვედური სენათობი, 19. საფრანგეთის საფეხ. კლუბი, 21. ქართული მწერტნილი კალათბურთში, 22. ანტიკური ორთვალისი ვტლი, მწკრივად შემბული ოთხი ცხენი, 25. ასპარეზობის დასკვნითი ვტაპი, 26. პორტუგალიის საფეხ. კლუბი, 27. ფრანც ბევენაუერის მეტასხელი.
შპეულად: 1. ქართული ეურნალი, 2. პოლონელი ფეხბურთელი როლანდ დე... 3. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 4. საფრანგეთის საფეხ. ნაკრების მკარე, 5. თავაშვებული ღრის ტარება, ქეიფი, 6. საქართველოს ჩემპიონი ფეხბურთში, 9. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი — ლეგიონერი, 15. ფეხბურთისა და პოკერში ფორვარდის აღრინდელი სახელი, 18. ცხენოსანი ანუ... 20. ჩილელი ფეხბურთელი, 23. რიგის ცნობილი საკალათბურთო კლუბი, 24. სპორტული ინვენტარი ძალსონობაში.

კოსმორი №59 პასუხები:
თარაზულად: 6. კორნერი, 7. ფარანი, 9. ისა, 10. ფილე, 11. არენა, 12. იარღი, 13. ნიკინა, 15. ცალკალამინი. შპეულად: 1. თოფაჟე, 2. „ქერნოპოკი“, 3. ფანღი, 4. კროლი, 5. არღილესი, 8. ბალაჟაჟე, 10. ფილალი, 11. „ამიკა“, 12. იაბო, 14. ალი, 16. იო.

უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებული ხორვატი გორან ივანტსევიჩი ATP-ის ვერსიით დასახლებულია ივლისის საუკეთესო ჩოგბურთელად. ამ პრიზის მაძიებლები აგრეთვე იყვნენ: პატრიკ რაფტერი, ანდრე აგასი, ტიმ ჰენმანი.


გაჟარი ისავ გაჟოვა კორგვა

ამერიკის ქალაქ ცინცინატიში მომავალ კვირას დაიწყება „Masters“-ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გერმანელი ჩოგბურთელი ბორის ბეკერი. მას და ხორვატ გორან ივანტსევიჩის ორგანიზატორებმა Wild Card უბოძეს წყვილთა ტურნირში. ეს მეორე ერთობლივი გამოსვლაა ბეკერისა და ივანტსევიჩის, პირველად 1999 წელს ჰამბურგის ტურნირში მათ პირველივე წრეში დათმეს შეხვედრა. ცინცინატის ტურნირის შემდეგ ბეკერს განზრახული აქვს ვეტერანთა ტურნირში მიიღოს მონაწილეობა.

«ფორმულა-1»

დავის რგოლუი აჟარ პეღვაა

„მალაიზიის გრან-პრის“ ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს უარი თქვან ამ სეზონში „ფორმულა-1“-ის დამის რბოლების ჩატარებაზე. დაწვრილებითი გათვლების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ დამის განათების დაყენება ძალიან ძვირი ჯდება, ამასთან, საფრთხეს შეუქმნის რბოლების მონაწილეებს.



„ფორმულა-1“-ის ისტორიაში უპრეცედენტო დამის რბოლების ჩატარების იდეა ბიზნესმენებმა მოიგონეს, რათა ვეროპულ ტელემაყურებლებს რბოლები მათთვის ხელსაყრელ დროს ენახათ. რაც მთავარია, ყველაფერი განგარიშებული იყო უზონო შემოსავალზე. ასე რომ, ამ იდეის განხორციელება მომავლის საქმედ რჩება.

საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია და საქციო საზოგადოება სპორტკომიტეტს „ლაგუნა-ვერს“ თანამშრომლები ღრმად მწუხარებთ თანაუგრძობენ სპორტის ღვაწლმისოდ მუშაქს ხილოვან კალანდაძეს მემულის გარდაცვალების გამო.
პანაშვილი: 2, 3 აგვისტოს, — 17 საათზე. დაკრძალვა 4 აგვისტოს — 16 საათზე. მისამართი — ი. ჭავჭავაძის ქ. №21.

Chess puzzle: საქალაქო კომუნა ჯგავალ მახათამ (ხასათონი). Chessboard diagram with pieces on a8, a7, a6, a5, a4, a3, a2, a1. Solution: 1. g5! 1... მფგ1 2. g1+ მფ:2 3. g3X.